ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01231583541**
თარიღი: **07/06/2023**

ადრესატი: შპს თ.ნ.ნ.ნ
საიდენტიფიკაციო ნომერი: 400254158
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დ. ზაჰესის ტერიტორია

თქვენი 10.05.2023წ. N10/01231301379-17 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 20.04.2023წ. N6419589 გადაწყვეტილების შესაბამისად ქ. თბილისში დ. ზაჰესის ტერიტორიაზე (ს/კ: N72.12.01.908) მდებარე ობიექტის (ქარხანა) მშენებლობის ეტაპების დასრულების შესახებ შედგენილი საეტაპო ოქმების მუნიციპალურ ინსპექციაში წარდგენის დადასტურებას, გაცნობებთ: AR1749578 განცხადებაზე ატვირთული მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის მიხედვით I-X ეტაპის საეტაპო ოქმები მუნიციპალურ ინსპექციაში არ არის წარმოდგენილი. თუმცა საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს 141^5 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად ,,შენობა-ნაგებობის მშენებლობისას მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოსთვის საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისთვის სამშენებლო სამართალდამრღვევს 2023 წლის 1 იანვრამდე არ დაეკისრება ამ კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება ,,ის სამშენებლო სამართალდამრღვევი, რომელსაც შენობა-ნაგებობის მშენებლობისას მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოსთვის საეტაპო ოქმი არ წარუდგენია და რომლის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება დაწყებული არ არის ან სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება დაწყებულია, მაგრამ დადგენილება მიღებული არ არის“.

ზაზა კვიციანი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

